დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ15 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ 100 ბრძანებით, 2021 წლის 24 მარტის №ძ 43 ბრძანებით, 2021 წლის 30 ივლისის №ძ 144 ბრძანებით, 2022 წლის 14 აპრილის №ძ 41 ბრძანებითა და 2023 წლის 6 იანვრის №ძ 21 ბრძანებით

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

2020 წელი

სარჩევი

1. ზოგადი დებულებები 3
2. შეფასების პირდაპირი მეთოდის (I) აღწერა 3
2.1. შეფასების პროცესის აღწერა 3
2.2. შეფასების შედეგების აღწერა 4
2.3. შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპების და ფორმების აღწერა 5
3. შეფასების პირდაპირი მეთოდის (II) აღწერა 6
3.1. შეფასების პროცესის აღწერა 8
3.2. შეფასების შედეგების აღწერა 9
3.3. შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპების და ფორმების აღწერა 10
4. შეფასების არაპირდაპირი მეთოდების აღწერა 11
4.1. შეფასების პროცესის აღწერა 11
4.2. შეფასების შედეგების აღწერა 11
4.3. შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპების და ფორმების აღწერა 11

1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას. უნივერსიტეტში მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- შეფასების პირდაპირი მეთოდი;
- შეფასების არაპირდაპირი მეთოდი.

2. შეფასების პირდაპირი მეთოდის (I) აღწერა

შეფასების პირდაპირი მეთოდი (I) გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აღნიშნული ეყრდნობა სტუდეტთა შეფასების საბოლოო შედეგებს, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის მიღწევების შეფასებები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და შესაძლებელია მოიცავდეს: დახურულ (MCQs) და ღია ტიპის შეკითხვებს, პრაქტიკულ და თეორიულ დავალებებს, ლაბორატორიულ დავალებებს, პრეზენტაციებსა და პროექტებს, ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდებს (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებულ პრაქტიკულ გამოცდებს (OSPE), კაზუსის ამოხსნას, შემთხვევების ანალიზსა და ა.შ.

სტუდეტთა შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების მისაღებად, კერძოდ, იმ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებლების დასათველელად, რომელთაც მიიღეს შეფასება A (ფრიადი) და შეფასება F (ჩაიჭრა).

სასწავლო კურსების ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, თუ რამდენად გამოიყენება შეფასების ისეთი სათანადო მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბსამისად, აღნიშნული შეფასების მეთოდების გამოყენებით და მათზე დაყრდნობით აკადემიური მოსწრების ანალიზი, უზრუნველყოფს საყურადღებო საკითხებისა და შესაბამისი რეაგირებების საჭიროების შესახებ სათანადო დასკვნების გაკეთებას, ხოლო ანალიზის საფუძველზე განხორციელებული კონკრეტული რეაგირებები უზრუნველყოფენ სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

2.1. შეფასების პროცესის აღწერა

შეფასების პროცესში მონაწილეობს პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება თითოეულ სავალდებულო სასწავლო

კომპონენტში სტუდენტთა რამდენი პროცენტი იღებს შეფასებას A (ფრიადი) და შეფასებას F (ჩაიჭრა). იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური, ფასდება ისეთი ჯგუფები, სადაც კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე დარეგისტრირებულია 10 სტუდენტზე მეტი (სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში მინიმუმ 3 სტუდენტი). დაკვირვება სავალდებულოა განხორციელდეს ყოველ სემესტრულად, ამასთან, მნიშვნელოვანია, დაკვირვება მოხდეს დინამიკაში და მიღებული მონაცემები გაანალიზდეს წინა წლებთან მიმართებით (წინა სამი წელი), რათა გამოიკვეთოს, თუ რამდენად მუდმივ ხასიათს ატარებს ზემოაღნიშნული პრობლემა კონკრეტულ სასწავლო კომპონენტში (მეტ-ნაკელბად გამოირიცხოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ძლიერი ჯგუფი ან პირიქით, სუსტი ჯგუფი) და შესაბამისად, გამოიკვეთოს რეაგირების საჭიროება.

შეფასების პროცესის ინიცირება და კოორდინირება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასებისა და შედეგების გაანალიზების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელი საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს პროგრამის კომიტეტთან ანდა კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის კომიტეტის მიერ მიიღება გადაწყვეტილება რეაგირების საჭიროებისა და რეაგირების გზების შესახებ. რეაგირების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბსამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ეგზავნება შეფასების შედეგები და გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე რეაგირების შესახებ ანგარიში.

2.2. შეფასების შედეგების აღწერა

პირდაპირი მეთოდით (I) სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანამანთლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება ორი სახის შედეგი, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ერთი სახის შედეგი:

საფეხური: ბაკალავრიატი

1. სტუდენტთა 10%-ზე მეტი შეფასების ხუთი დონიდან მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას: A (ფრიადი) – 91-100 ქულა.

განმარტება: პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას.

2. სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას: F (ჩაიჭრა) – 50 ქულა და ნაკლები.

განმარტება: პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა, შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად რთულად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პრგრამა

1. სტუდენტთა 10%-ზე მეტი შეფასების ხუთი დონიდან მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას: A (ფრიადი) – 91-100 ქულა.

განმარტება: პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას.

2. სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას: F (ჩაიჭრა) – 50 ქულა და ნაკლები).

განმარტება: პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა, შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად რთულად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას.

საფეხური: მაგისტრატურა

- სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას: F (ჩაიჭრა) – 50 ქულა და ნაკლები).

განმარტება: პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა, შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად რთულად მისაღწევად და ამდენად საჭიროებს კვლევას.

საფეხური: დოქტორანტურა

- სტუდენტთა 50%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას: F (ჩაიჭრა) – 50 ქულა და ნაკლები. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურთან შედარებით მაღალი სამიზნე ნიშნული დადგენილია სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით (დაკვირვებისთვის რელევანტურად ითვლება ჯგუფში მინიმუმ 3 სტუდენტის არსებობა). შესაბსამისად, 3 სტუდენტის შემთხვევაში საყურადღებოდ ითვლება 2 სტუდენტის ჩაჭრა.

- განმარტება: პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა და ამდენად საჭიროებს კვლევას.

2.3. შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპების და ფორმების აღწერა

რეაგირების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში თუ სამი წლის მონაცემების ყოველსემესტრულად შესწავლისა და გაანალიზების შემდგომ გამოიკვეთება, რომ 3 წლიან დინამიკაში ერთსა და იმავე სასწავლო კურსში ყოველწლიურად ფიქსირდება ზემოაღნიშნული საყურადღებო შედეგებიდან რომელიმე. რეაგირება შესაძლებელია საჭიროდ ჩაითვალოს სხვა შემთხვევაშიც, შეფასების

პროცესში ჩართული მხარეების არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამდენად, რეაგირების საჭიროება შეიძლება გამოიკვეთოს და შესაბამისად, ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ყოველსემესტრულად. რეაგირება გულისხმობს, ორ ეტაპს:

1. მიზეზების კვლევა - თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფის ან პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით, რაც შეიძლება განხორციელდეს პროგრამის კონკრეტული კომპონენტის ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების, კომპონენტის სილაბუსისა და ნაშრომების სიღრმისეული შესწავლის გზით;

2. გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა - რაც გულისხმობს პროგრამის და/ან პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, მაგ. როგორიცაა:

- სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა. შ.

პირდაპირი მეთოდით შეფასების დროს, ზემოაღნიშნული საყურადღებო შემთხვევების გარდა ყველა სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ პროგრამის კომპონენტი და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა გადის შესაბამისი კომპონენტითა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებზე და არ დგას კონკრეტული კომპონენტისა და / ან საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება.

3. შეფასების პირდაპირი მეთოდის (II) აღწერა

შეფასების პირდაპირი მეთოდი (II) გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. შეფასების ინდიკატორები ფასდება შეფასების 5 დონის გამოყენებით. შეფასების დონეებია: სრულიად არ აკმაყოფილებს, არ აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, სრულიად აკმაყოფილებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორები, შეფასების დონეები და ინდიკატორების შეფასების რუბრიკები აღწერილია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში ინდიკატორები შეფასდეს შეფასების 3 დონის გამოყენებით. ამ შემთხვევაში შეფასების დონეებია: არ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორები და რუბრიკები მხოლოდ სადემონსტრაციოა და არ აღწერს რომელიმე კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, შედეგების შეფასების ინდიკატორებსა და ინდიკატორების შეფასების რუბრიკებს.

სწავლის შედეგი: ახდენს ფინანსური რისკების იდენტიფიცირებას; რისკების პრევენციისა და მართვის მიზნით იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს.

შეფასების ინდიკატორები:

1. აგროვებს მონაცემებს რისკების გამომწვევ გარე და შიდა ფაქტორებთან დაკავშირებით
2. აანალიზებს მიღებულ მონაცემებს რისკების შეფასების მიზნით
3. განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებებს
4. ირჩევს რეაგირების ადეკვატურ ფორმას

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები				
	სრულიად ვერ აკმაყოფილებს	ვერ აკმაყოფილებს	აკმაყოფილებს	მეტწილად აკმაყოფილებს	სრულიად აკმაყოფილებს
აგროვებს მონაცემებს რისკების გამომწვევ გარე და შიდა ფაქტორებთან დაკავშირებით	ვერ ახდენს მონაცემების შეგროვებას რისკების გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებით	ვერ ახდენს მონაცემების შეგროვებას რისკების გამომწვევ უმეტეს ფაქტორთან დაკავშირებით. შეგროვებული მონაცემების უმეტესობა არ არის რისკების გამომწვევი	ახდენს მონაცემების შეგროვებას (თუმცა მონაცმები არ არის სრულად შეგროვებული), რისკების გამომწვევ უმეტეს ფაქტორთან დაკავშირებით. მონაცმების უმეტრესობა სწორადაა შეგროვებული	ახდენს მონაცემების სრულად შეგროვებას რისკების გამომწვევ უმეტეს ფაქტორთან დაკავშირებით.	ახდენს მონაცემების სრულად შეგროვებას რისკების გამომწვევ ყველა ფაქტორთან დაკავშირებით
აანალიზებს მიღებულ მონაცემებს რისკების შეფასების მიზნით	ვერ ახდენს მიღებული მონაცემების ანალიზს და რისკების შეფასებას	ვერ ახდენს მიღებული მონაცემების სრულ ანალიზს და სწორად ვერ აფასებს იდენტიფიცირებულ რისკების უმეტესობას	ახდენს მიღებული მონაცემების სწორ ანალიზს (თუმცა ანალიზი არ არის სიღრმისეული) და სწორად აფასებს იდენტიფიცირებული რისკების უმეტესობას	ახდენს მიღებული მონაცემების სიღრმისეულ ანალიზს და უმეტესი იდენტიფიცირებული რისკების სწორ შეფასებას	ახდენს მიღებული მონაცემების სიღრმისეულ ანალიზს და იდენტიფიცირებული რისკების სწორ შეფასებას
განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებებს	ვერ განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებას	უმეტეს შემთხვევაში ვერ განსაზღვრავს ან სწორად ვერ განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებას	უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებას, თუმცა მსჯელობისას დაშვებულიშეცდომები	უმეტეს შემთხვევაში სწორად განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებას	ყოველთვის სწორად განსაზღვრავს რეაგირების საჭიროებას
ირჩევს რეაგირების ადეკვატურ ფორმას	ვერ ირჩევს რეაგირების ფორმას	უმეტეს შემთხვევაში ირჩვეს რეაგირების არაადეკვატურ ფორმას	უმეტეს შემთხვევაში ირჩვეს რეგირების ფორმას, თუმცა მსჯელობისას დაშვებულია შეცდომები	უმეტეს შემთხვევაში ირჩვეს რეგირების ადეკვატურ ფორმას	ყოველთვის ირჩვეს რეაგირების ადეკვატურ ფორმას

ინდიკატორების პროგრამის კომპონენტებთან შესაბამისობის რუკა

პროგრამის კომპონენტი	შეფასების ინდიკატორები			
	შეფასების ინდიკატორი I	შეფასების ინდიკატორი II	შეფასების ინდიკატორი III	შეფასების ინდიკატორი IV
	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები			
პროგრამის კომპონენტი I	პრაქტიკული დავალება (დასკვნითი გამოცდა)		პრაქტიკული დავალება (დასკვნითი გამოცდა)	ესსე (დასკვნითი გამოცდა)
პროგრამის კომპონენტი II	ტესტი (დასკვნითი გამოცდა)			ტესტი (დასკვნითი გამოცდა)
პროგრამის კომპონენტი III		სიტუაციის ანალიზი (დასკვნითი გამოცდა)	პრაქტიკული დავალება (დასკვნითი გამოცდა)	სიტუაციის ანალიზი (დასკვნითი გამოცდა)

3.1. შეფასების პროცესის აღწერა

პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების პროცესში მოწმდება პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ამ კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში მონაწილეობს და შედეგის შეფასების მიზნით მითითებულია პროგრამის დანართში #4 - სწავლის შედეგების შეფასება. შეფასების პროცესში მონაწილეობს კომპონენტზე დარეგისტრირებული რამდენიმე შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული სტუდენტი. იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე ფასდება 10-ზე მეტი სტუდენტის ნაშრომი (სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, მინიმუმ 3 სტუდენტის ნაშრომი). დაკვირვება სავალდებულოა განხორციელდეს ყოველწლიურად, თუმცა შესაძლებელია ყოველი წლის ბოლოს შემოწმდეს პროგრამით გათვალისწინებული ერთი რომელიმე სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა განისაზღვრება პროგრამის ფაგლებში დანართით #4 - სწავლის შედეგების შეფასება. შეფასების შედეგების მიხედვით განისაზღვრება რეაგირების საჭიროება.

შეფასების პროცესის ინიცირება და კოორდინირება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. შეფასებისა და შედეგების გაანალიზების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელი საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს პროგრამის კომიტეტთან ან/და კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის კომიტეტის მიერ მიიღება გადაწყვეტილება რეაგირების საჭიროებისა და რეაგირების გზების შესახებ. რეაგირების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების,

ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბსამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ეგზავნება შეფასების შედეგები და გამოვლენილ საუყურადღებო საკითხებზე რეაგირების შესახებ ანგარიში.

3.2. შეფასების შედეგების აღწერა

პირდაპირი მეთოდით (II) სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან, უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე, საყურადღებოდ ითვლება შემდეგი სახის შედეგები:

შეფასების 5 დონის არსებობის შემთხვევაში:

1. შემოწმებული ნაშრომების 10%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ ან „ვერ აკმაყოფილებს“.

სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, შემოწმებული ნაშრომების 50%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ ან „ვერ აკმაყოფილებს“. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურთან შედარებით მაღალი სამიზნე ნიშნული დადგენილია სტუდენტთა ნაშრომების რაოდენობის გათვალისწინებით (დაკვირვებისთვის რელევანტურად ითვლება მინიმუმ 3 სტუდენტის ნაშრომის შეფასება). შესაბსამისად, 3 სტუდენტის ნაშრომის შეფასების შემთხვევაში საყურადღებოდ ითვლება 2 სტუდენტის ნაშრომის შეფასება შეფასების დონით „სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ ან „ვერ აკმაყოფილებს“.

განმარტება: ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ვერ მიიღწევა ან მეტწილად ვერ მიიღწევა და ამდენად, საჭიროა მიზეზების კვლევა.

შეფასების 3 დონის არსებობის შემთხვევაში:

შემოწმებული ნაშრომების 10% - ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „ვერ აკმაყოფილებს“.

სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, შემოწმებული ნაშრომების 50%-ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „ვერ აკმაყოფილებს“. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურთან შედარებით მაღალი სამიზნე ნიშნული დადგენილია სტუდენტთა ნაშრომების რაოდენობის გათვალისწინებით (დაკვირვებისთვის რელევანტურად ითვლება მინიმუმ 3 სტუდენტის ნაშრომის შეფასება). შესაბსამისად, 3 სტუდენტის ნაშრომის შეფასების შემთხვევაში საყურადღებოდ ითვლება 2 სტუდენტის ნაშრომის შეფასება შეფასების დონით „ვერ აკმაყოფილებს“.

განმარტება: ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მეტწილად ვერ მიიღწევა და ამდენად, საჭიროა მიზეზების კვლევა.

3.3. შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპების და ფორმების აღწერა

რეაგირების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში თუ დაკვირვების შედეგად დაფიქსირდება ზემოაღნიშნული საყურადღებო შედეგებიდან რომელიმე. რეაგირება გულისხმობს, ორ ეტაპს:

1. მიზეზების კვლევა - თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფის ან პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით, რაც შეიძლება განხორციელდეს პროგრამის კონკრეტული კომპონენტის ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების, კომპონენტის სილაბუსისა და ნაშრომების სიღრმისეული შესწავლის გზით;

2. გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა - რაც გულისხმობს პროგრამის და/ან პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, მაგ. როგორიცაა:

- სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა. შ.

პირდაპირი მეთოდით (II) შეფასების დროს, ზემოაღნიშნული საყურადღებო შემთხვევების გარდა ყველა სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ პროგრამის კომპონენტი და შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა გადის შესაბამისი პროგრამის კომპონენტითა და საგანმანათლებლო პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებზე და არ დგას პროგრამის კომპონენტისა და / ან საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საჭიროება.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოიყენება შეფასების პირდაპირი მეთოდი (I), რომლითაც ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, შედეგებზე დაკვირვება და შედეგების გაუმჯობესების მიზნით რეაგირება.

4. შეფასების არაპირდაპირი მეთოდების აღწერა

პროგრამით დასახული სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება დაინტერტესებული მხარეების (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. დაინტერესებული მხარეები, კერძოდ დამსაქმებლები აფასებენ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ან კურსდამთავრებულის ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულების გამოკითხვის შემთხვევაში - საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც არაპირდაპირი გზით პროგრამის შეფასების საშუალებას იძლევა.

4.1. შეფასების პროცესის აღწერა

გამოკითხვის პროცესის ინიცირება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დახმარებით, გამოკითხვის შედეგები გაანალიზებისა და საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირების მიზნით ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს. გამოკითხვის შედეგების გაანალიზება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის მიერ. შედეგების გაანალიზების შემდეგ, ანალიზზე დაყრდნობით მათ მიერვე მიიღება გადაწყვეტილება რეაგირების საჭიროებისა და რეაგირების გზების შესახებ. რეაგირების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები ხორციელდება ქუთაისის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბსამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ეგზავნება შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საყურადღებო საკითხებზე რეაგირების შესახებ ანგარიში.

4.2. შეფასების შედეგების აღწერა

არაპირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე საყურადღებოდ ითვლება შედეგი, თუ გამოკითხულ დამსაქმებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლბელო პროგრამის სტუდენტი/კურსდამთავრებული არ ფლობს ან ცუდად ფლობს სფეროსთვის მნიშვნელოვან ცოდნასა და უნარებს, ხოლო გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (30% და მეტი) თვლის, რომ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ მიიღო სფეროსთვის მნშვნელოვანი სათანადო ცოდნა და უნარები და მათი დაუფლება მას მოუწია პროგრამის დასრულების შემდეგ ან ზოგადად, პროგრამის მიღმა.

4.3. შეფასების შედეგებზე რეაგირების ეტაპების და ფორმების აღწერა

რეაგირება ამ შემთხვევაშიც გულისხმობს ორ ეტაპს:

1. მიზეზების კვლევა - თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფის ან პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით, რაც შეიძლება განხორციელდეს პროგრამის კონკრეტული კომპონენტის ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრების, კომპონენტის სილაბუსისა და ნაშრომების სიღრმისეული შესწავლის გზით;

2. გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა - რაც გულისხმობს პროგრამის და/ან პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, მაგ. როგორიცაა:

- სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა;
- პროგრამის კომპონენტის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა. შ.